

დამტკიცებულია:

სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“  
წევრ-აქციონერთა საერთო კრების მიერ,  
1999 წ. 26 სექტემბერი, ოქმი № 4.

ბოლო ცვლილებები და დამატებები შეტანილია:

სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“  
სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე,  
2011 წ. 5 დეკემბერი, ოქმი №7.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

„საქართველოს საფონდო ბირჟის“

წევრების შესახებ

## I. ზოგადი დებულებები

- 1.1 წინამდებარე დებულება „საქართველოს საფონდო ბირჟის“ წევრების შესახებ (შემდგომში „დებულება“) შემუშავებულია ფასიანი ქაღალდების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის, „საქართველოს საფონდო ბირჟის“ (შემდგომში „ბირჟა“) წესდების და სხვა მარეგულირებელი წესების შესაბამისად.
- 1.2. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ბირჟაზე წევრების მიღების წესს და პროცედურას, მოთხოვნებს, რომლებიც წაყენებათ ბირჟის წევრებს, წევრების ვაჭრობაზე დაშვებისა და ვაჭრობებში მონაწილეობის უფლების შეჩერების წესს, წევრების უფლებამოსილების შეწყვეტის წესს.
- 1.3. დებულების ყველა დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
- 1.4. დებულებას, მასში ცვლილებებსა და დამატებებს ამტკიცებს ბირჟის სამეთვალყურეო საბჭო.

## II. წევრად მიღების პროცედურა

- 2.1. ბირჟის წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტი (მათ შორის კანონით გათვალისწინებული უცხოური ფინანსური ინსტიტუტი), რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობის, ბირჟის წესდებისა და წინამდებარე დებულების მოთხოვნებს.
- 2.2. ბირჟის წევრობის მსურველმა ლიცენზირებულმა ფინანსურმა ინსტიტუტმა საჭიროა ხელი მოაწეროს სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ კონვენციას და “ხელშეკრულებას წევრობის შესახებ”, შემდგომ კი ბირჟაზე წარმოადგინოს სათანადო დოკუმენტები.
- 2.3. ბირჟის წევრობის საკითხის განხილვის საფუძველს წარმოადგენს წევრობის მსურველი კანდიდატის მიერ ბირჟის გენერალური დირექტორის სახელზე წარდგენილი განაცხადი (დანართი №1). წარმოდგენილ განაცხადს თან უნდა დაერთოს მასში ჩამოთვლილი დოკუმენტები. არარეზიდენტი წევრობის კანდიდატის მიერ დოკუმენტები შეიძლება წარმოდგენილი იქნას ქართულ ან ინგლისურ ენაზე.
- 2.4. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებლის მიერ არ იქნება წარმოდგენილი ყველა საჭირო დოკუმენტი, მისი განაცხადი განხილული არ იქნება.
- 2.5. წარმოდგენილი აუცილებელი დოკუმენტების სისწორეზე პასუხს აგებს განმცხადებელი.
- 2.6. განაცხადი და თანდართული დოკუმენტები წარდგენიდან 1 სამუშაო დღის ვადაში გადაეცემა დირექტორს ვაჭრობაზე დაშვების დარგში, რომელიც გადასცემს დოკუმენტებს განსახილველად ბირჟის წევრებისა და ბროკერების სამსახურს დოკუმენტის მიღებიდან 1 სამუშაო დღის ვადაში.
- 2.7. ბირჟის წევრებისა და ბროკერების სამსახური მიღებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში განიხილავს შემოტანილ დოკუმენტებს.
- 2.8. ბირჟის წევრებისა და ბროკერების სამსახურს საჭიროების შემთხვევაში უფლება აქვს მოითხოვოს განმცხადებლისგან დამატებითი ინფორმაცია შემოტანილ დოკუმენტებთან დაკავშირებული საკითხების დასაზუსტებლად.
- 2.9. შემოტანილ დოკუმენტებთან დაკავშირებული საკითხების დაზუსტების მიზნით განმცხადებლის მიერ დამატებითი ინფორმაციის წარდგენის მომენტიდან პუნქტ 2.7-ში მითითებული ვადა თავიდან აითვლება.
- 2.10. ბირჟის წევრებისა და ბროკერების სამსახურის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვის შემდგომ დირექტორი ვაჭრობაზე დაშვების დარგში აკეთებს დასკვნას. აღნიშნულ დასკვნას გენერალური დირექტორი თავის დასკვნასთან ერთად წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს, რომლის სხდომა ამ

საკითხის განსახილველად მოწვეულ უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში.

2.11. თუ განმცხადებელი არ ეთანხმება წევრებისა და ბროკერების სამსახურის მოქმედებას, მას უფლება აქვს მიმართოს ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს.

2.12. წევრად მიღების შესახებ გადაწყვეტილება გამოაქვს ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს და პასუხი გადაწყვეტილების მიღებიდან 1 სამუშაო დღის ვადაში გაეგზავნება განმცხადებელს.

2.13. წევრად მიღების დღედ ითვლება ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დღე.

2.14. ბირჟის წევრად მიღების შემდეგ ძალაში შედის წევრსა და ბირჟას შორის ხელმოწერილი ხელშეკრულება (დანართი №3).

2.15. სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეცნობება ბირჟის ყველა წევრს და ამის თაობაზე გაეგზავნება შეტყობინება ფასიანი ქაღალდების ბაზრის სახელმწიფო მარეგულირებელ ორგანოს (შემდეგში – მარეგულირებელი ორგანო) და ბირჟის მომსახურე ცენტრალურ დეპოზიტარს გადაწყვეტილების მიღებიდან 1 სამუშაო დღის ვადაში.

### III. ბირჟის წევრთა უფლებები და მოვალეობები

3.1. ბირჟის წევრებს გააჩნიათ შემდეგი უფლებები:

3.1.1. დადგენილი წესით მიიღონ მონაწილეობა ბირჟის მიერ ორგანიზებულ საფონდო ვაჭრობებში და ისარგებლონ ბირჟის სამსახურების მომსახურებით;

3.1.2. მიმართონ ბირჟის გენერალურ დირექტორს წევრის ან ბირჟის თანამშრომლის მიერ ბირჟის მომწესრიგებელი წესების დარღვევის შესახებ;

3.1.3. მიმართონ სამეთვალყურეო საბჭოს აპელაციით დირექტორების იმ გადაწყვეტილებების თაობაზე, რომლებიც წევრის უფლებებს ღახავს;

3.1.4. წევრებთან დაკავშირებული წესების მიღებამდე ან მათში ცვლილების შეტანამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე გაეცნონ მათ, განიხილონ და მიღებამდე ერთი კვირით ადრე წარმოადგინონ მმართველ ორგანოში შენიშვნები, თუ ასეთები წარმოიშვება.

3.2. ბირჟის წევრთა ძირითადი მოვალეობებია:

3.2.1. დაიცვან ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონმდებლობის და ბირჟის წესების მოთხოვნები, აგრეთვე შეასრულონ ბირჟის მმართველი ორგანოს გადაწყვეტილებები;

3.2.2. დაიცვან ტექნიკური, ტექნოლოგიური და კომერციული ხასიათის ინფორმაციის კონფიდენციალობა, რომლის გამჟღავნებამაც ზიანი შეიძლება მიაყენოს ბირჟას, მის წევრებსა და მათ კლიენტებს;

3.2.3. დროულად გადაიხადონ ბირჟის მიერ დაწესებული საწევრო, საკომისიო შენატანები და სხვა გადასახდელები;

3.2.4. თავისი ქმედებებით ან/და განცხადებებით არ მიაყენონ ბირჟას ზიანი, არ შელახონ მისი ავტორიტეტი და პრესტიჟი;

3.2.5. შესაბამისი მოვლენის დადგომიდან ან გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღის ვადაში შეატყობინონ ბირჟის მმართველ ორგანოს დანართ №1-ით გათვალისწინებულ განაცხადზე თანდართულ დოკუმენტებში მომხდარი ან მოსალოდნელი ნებისმიერი ცვლილებების შესახებ, აგრეთვე მათ ფინანსურ და იურიდიულ სტატუსში მომხდარი ან მოსალოდნელი ისეთი ცვლილებების შესახებ, რომლებმაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინონ მათი ვალდებულებების შესრულებაზე ბირჟისა და მისი წევრების მიმართ;

- 3.2.6. ჰქონდეთ კანონით გათვალისწინებული სათანადო ლიცენზია;
- 3.2.7. მისცენ ბირჟას წერილობითი თანხმობა თავისი ჩანაწერების და დავთრების შემოწმებაზე, ნებისმიერი მიწოდებული ინფორმაციის სიზუსტის დადგენის მიზნით;
- 3.2.8. დააკმაყოფილონ მარეგულირებელი ორგანოს წესების მიხედვით დაწესებული მოთხოვნები, მათ შორის მისი კაპიტალის ოდენობის შესახებ (მოთხოვნა კაპიტალის ოდენობის შესახებ ეხება მხოლოდ საბროკერო კომპანიებს);
- 3.2.9. იყვნენ ბირჟის მომსახურე ცენტრალური დეპოზიტარის წევრები.

#### IV. ანგარიშგებების წარდგენა

- 4.1. ბირჟას წევრის მიერ წარედგინება ანგარიშგებები მარეგულირებელი ორგანოს მიერ დადგენილი ფორმით და ვადებში.
- 4.2. ბირჟის წევრებისა და ბროკერების სამსახურს უფლება აქვს მოითხოვოს ბირჟის წევრისგან 4.1 პუნქტით განსაზღვრული საკითხების დასაზუსტებლად დამატებითი ინფორმაცია.
- 4.3. ბირჟის წევრი ვალდებულია დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში, მოთხოვნის მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში წარუდგინოს ბირჟას ინფორმაცია. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული დრო არ არის საკმარისი ინფორმაციის გასაცემად, წევრი ვალდებულია წარუდგინოს ბირჟას ახსნა-განმარტება დაგვიანების მიზეზის ახსნით, რის შემდეგ შეიძლება ვადა გაუგრძელდეს 5 სამუშაო დღით.

#### V. წევრის სავაჭრო სისტემაში დაშვება და ვაჭრობებში მონაწილეობის უფლების შეჩერება

- 5.1. ბირჟის წევრები სავაჭრო სისტემაში დაიშვებიან ბირჟის მიერ დაწესებული ყველა შენატანისა და გადასახდელის გადახდის შემდეგ.
- 5.2. ბროკერებზე საკვალიფიკაციო ატესტატების (სერტიფიკატების) გაცემის პროცედურას (ატესტირება) ადგენს სამეთვალყურეო საბჭო.
- 5.3. ბროკერებისათვის სავალდებულოა ორ წელიწადში ერთხელ მაინც ატესტირების გავლა; სავალდებულო ატესტირების გარდა, ბირჟას შეუძლია მოსთხოვოს ბროკერს განმეორებითი ატესტირების გავლა (ელექტრონული ტესტირების მეშვეობით):
  - 5.3.1. კლიენტის საფუძვლიანი პრეტენზიის შემთხვევაში ბროკერის მიმართ;
  - 5.3.2. ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი კანონმდებლობის, ნორმატიული ბაზისა და ბირჟის წესების არსებითი ცვლილების შემთხვევაში;
  - 5.3.3. სავაჭრო სისტემაში ცვლილებების შემთხვევაში.
- 5.4. ბირჟის გენერალურ დირექტორს დისციპლინურ დარღვევათა საპროცესო კოდექსის შესაბამისად, უფლება აქვს დროებით შეუჩეროს ბირჟის წევრს ვაჭრობაში მონაწილეობის უფლება შემდეგ შემთხვევაში:
  - 5.4.1. ბირჟის წევრის მიერ სავაჭრო სისტემაში დადებული გარიგებების მიხედვით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა;
  - 5.4.2. საწევრო შენატანებისა და გადასახდელის გადახდის დაგვიანება;
  - 5.4.3. 4.1 და 4.3 პუნქტებში აღნიშნული ინფორმაციის ბირჟის წევრებისა და ბროკერების სამსახურისთვის არასრული ან არასწორი სახით მიწოდება, ან არ წარდგენა;
  - 5.4.4. 3.2 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობა;
  - 5.4.5. წევრის მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნა;

- 5.4.6. მარეგულირებელი ორგანოს მიერ წევრისთვის ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მონაწილეობის შეჩერება.
- 5.5. ბირჟის წევრს მისთვის ვაჭრობაში მონაწილეობის უფლების დროებით შეჩერება არ ათავისუფლებს 7.1 და 7.2 პუნქტებით გათვალისწინებული შენატანებისა და გადასახდელების გადახდისაგან.
- 5.6. წევრისათვის ვაჭრობაში მონაწილეობის დროებით შეჩერების შემთხვევაში ბირჟა იმავე დღეს ატყობინებს ამის შესახებ ბირჟის წევრებს და წერილობით უგზავნის შეტყობინებას მარეგულირებელ ორგანოს და ბირჟის მომსახურე ცენტრალურ დეპოზიტარს.
- 5.7. 5.4. პუნქტში აღნიშნული დარღვევების აღმოფხვრის შემთხვევაში წევრი კვლავ დაიშვება სავაჭრო სისტემაში ბირჟის გენერალური დირექტორის მიერ, დისციპლინურ დარღვევათა საპროცესო კოდექსის შესაბამისად.
- 5.8. ბირჟის წევრისათვის ვაჭრობაში მონაწილეობის უფლების აღდგენის შემთხვევაში ბირჟა იმავე დღეს ატყობინებს ამის შესახებ ბირჟის წევრებს და წერილობით უგზავნის შეტყობინებას მარეგულირებელ ორგანოს და ბირჟის მომსახურე ცენტრალურ დეპოზიტარს.

## VI. წევრობის შეწყვეტა

- 6.1. წევრობის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს:
- 6.1.1. ბირჟის წევრის განცხადება წევრობიდან გასვლის შესახებ;
  - 6.1.2. წევრის მხრიდან წევრობის ხელშეკრულების ცალმხრივი შეწყვეტა;
  - 6.1.3. წევრის, როგორც იურიდიული პირის ლიკვიდაცია;
  - 6.1.4. წევრისათვის ლიცენზიის გაუქმება;
  - 6.1.5. ბირჟისათვის ყალბი ინფორმაციის წარდგენა;
  - 6.1.6. უარის თქმა ბირჟისათვის დადგენილი წესით მისი ჩანაწერებისა და ბუღალტრული დავთრების შემოწმებაზე;
  - 6.1.7. წევრის მიერ დარღვევის დაწესებულ ვადაში აღმოუფხვრელობა.
- 6.2. 6.1.1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ბირჟის წევრი წარადგენს განცხადებას ბირჟის გენერალური დირექტორის სახელზე.
- 6.3. 6.1.2-6.1.4 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, წევრი ვალდებულია აცნობოს ბირჟის წევრებისა და ბროკერების სამსახურს დაუყოვნებლივ მომხდარი ფაქტის შესახებ.
- 6.4. ბირჟის წევრებისა და ბროკერების სამსახურის მიერ მიწოდებული სათანადო ინფორმაციის წარდგენის შემდეგ, დირექტორი ვაჭრობაზე დაშვების დარგში აკეთებს დასკვნას, რომელსაც გენერალური დირექტორი თავის დასკვნასთან ერთად წარუდგენს ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.
- 6.5. ბირჟის წევრობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ბირჟის სამეთვალყურეო საბჭო.
- 6.6. წევრობის შეწყვეტის შემთხვევაში ბირჟა იმავე დღეს ატყობინებს ამის შესახებ ბირჟის წევრებს და წერილობით უგზავნის შეტყობინებას მარეგულირებელ ორგანოს და ბირჟის მომსახურე ცენტრალურ დეპოზიტარს.
- 6.7. წევრობის შეწყვეტის შემთხვევაში ბირჟა გადაწყვეტილების მიღებიდან 1 სამუშაო დღის ვადაში აქვეყნებს ოფიციალურ ინფორმაციას.
- 6.8. წევრობის შეწყვეტის დღედ ითვლება ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დღე.
- 6.9. ბირჟის საბჭოს მიერ წევრობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ბირჟის წევრს ეკრძალება სავაჭრო სისტემაში დაშვება.
- 6.10. ბირჟის წევრს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მისი წევრობის შეჩერებასა და გაუქმებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების გასასაჩივრებლად.

## VII. ბირჟაზე საწევრო შენატანებისა და სხვა გადასახდელების გადახდის წესი

- 7.1. ბირჟაზე წევრთათვის დადგენილია საწევრო შენატანები და სხვა გადასახდელები, რომლებიც გამოიყენება ბირჟის სავაჭრო სისტემის მომსახურების ხარჯების დასაფარავად, აგრეთვე ბირჟის შემდგომი განვითარებისათვის (დანართი №4).
- 7.2. საწევრო გადასახდელებისა და შენატანების ოდენობა დგინდება ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.
- 7.3. საწევრო შენატანებისა და სხვა გადასახდელების გადახდის წესს განსაზღვრავს ბირჟის გენერალური დირექტორი.

„საქართველოს საფონდო ბირჟის“  
გენერალურ დირექტორს

(ორგანიზაციის სახელწოდება)

(თანამდებობის პირის სახელი და გვარი)

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

ვთხოვთ, განიხილოთ ჩვენი განაცხადი და გვიშუამდგომლოთ სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე „საქართველოს საფონდო ბირჟის“ წევრად მისაღებად.

განაცხადს თან ერთვის შემდეგი დოკუმენტები:

1. წესდების (პარტნიორთა შეთანხმების) ასლი წარმოდგენის მომენტისათვის ყველა ცვლილების გათვალისწინებით\*;
2. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან წარმოდგენის მომენტისათვის ყველა ცვლილების გათვალისწინებით\*;
3. კანონით გათვალისწინებული სათანადო ლიცენზიის ასლი\*;
4. იმ ბროკერთა ჩამონათვალი, რომლებზეც ბირჟის საკვალიფიკაციო კომისიის მიერ გაიცა სათანადო სერტიფიკატები (დანართი №2);
5. დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ბოლო წლის დამოწმებული დადგენილი ფორმის ფინანსური ანგარიშგება.
6. ინფორმაცია ყოველი იმ პირის შესახებ, რომლის რეგისტრირებულ საკუთრებაში არსებული წილის ოდენობა წევრობის კანდიდატის კაპიტალში შეადგენს 10%-ს ან მეტს.
7. საგადასახადო დავალების ასლი ბირჟის წევრობისათვის საწყისი შენატანის გადახდაზე;

\* – უცხო ქვეყნის იურიდიული პირების შემთხვევაში დოკუმენტები დამოწმებული უნდა იყოს აპოსტილით ან ლეგალიზებული უნდა იყოს სათანადო წესით.

ხელმოწერა: \_\_\_\_\_

თარიღი: \_\_\_\_\_

ბ.ა.

„საქართველოს საფონდო ბირჟის“  
გენერალურ დირექტორს

წარმოგიდგენთ იმ პირთა სიას, რომლებზეც ბირჟის საკვალიფიკაციო  
კომისიის მიერ გაიცა სათანადო სერტიფიკატები

1. \_\_\_\_\_ საკონტაქტო ტელეფონები: \_\_\_\_\_  
(სახელი, გვარი)
2. \_\_\_\_\_ საკონტაქტო ტელეფონები: \_\_\_\_\_  
(სახელი, გვარი)
3. \_\_\_\_\_ საკონტაქტო ტელეფონები: \_\_\_\_\_  
(სახელი, გვარი)
4. \_\_\_\_\_ საკონტაქტო ტელეფონები: \_\_\_\_\_  
(სახელი, გვარი)

ყველა ცვლილების შესახებ, რომელიც შეეხება უფლებამოსილ პირებს,  
ვალდებული ვართ დროულად ვაცნობოთ ბირჟას.

\_\_\_\_\_  
(წვერის ხელმძღვანელი)

ხელმოწერა: \_\_\_\_\_

ბ.ა.

## ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

### წევრობის შესახებ

ქ. თბილისი

„-----“ „-----“ 200 წ.

სს „საქართველოს საფონდო ბირჟამ“ (შემდგომში – „ბირჟა“), გენერალური დირექტორის ვახტანგ სვანაძის სახით, რომელიც მოქმედებს ბირჟის წესდების საფუძველზე, ერთის მხრივ და \_\_\_\_\_

(შემდგომში „ბირჟის წევრი“), მისი \_\_\_\_\_

სახით, რომელიც მოქმედებს \_\_\_\_\_ საფუძველზე, მეორეს მხრივ, დადეს ხელშეკრულება შემდეგ ზე:

### I. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულება არეგულირებს ურთიერთობებს ბირჟასა და მის წევრს შორის.

### II. მხარეთა ვალდებულებები

2.1. ბირჟა ვალდებულია:

2.1.1. ფასიანი ქაღალდების ოპერაციების ჩასატარებლად, ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 3 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს წინამდებარე დებულების ყველა პირობის დაცვით, ყოველგვარი შეფერხების გარეშე ბირჟის წევრის სავაჭრო სისტემაში ჩართვა;

2.1.2. უზრუნველყოს ბირჟის წევრთათვის მუშაობის თანაბარი პირობები სავაჭრო სისტემაში;

2.1.3. უზრუნველყოს წევრი ბირჟის მოქმედი ნორმატიული დოკუმენტებით, ბირჟის წესებით გათვალისწინებული აუცილებელი ინფორმაციით და დროულად აცნობოს მასში შეტანილი ყველა ცვლილებებისა და დამატებების შესახებ;

2.1.4. განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ფასიანი ქაღალდების სავაჭრო სისტემაში დაშვების პროცედურები;

2.1.5. განახორციელოს კონტროლი ბირჟის წევრთა მიერ ვაჭრობის წესების დაცვაზე.

2.1.6. ხელი შეუწყოს ბირჟის წევრების ბროკერთა და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას.

2.1.7. ჩაუტაროს ბირჟის წევრთა ბროკერებს სავალდებულო/განმეორებითი ატესტირება (ელექტრონული ტესტირების მეშვეობით).

2.2. ბირჟის წევრი ვალდებულია:

2.2.1. დაიცვას ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონმდებლობის და ბირჟის წესების მოთხოვნები, აგრეთვე შეასრულოს ბირჟის მმართველი ორგანოს გადაწყვეტილებები;

2.2.2. დაიცვას ტექნიკური, ტექნოლოგიური და კომერციული ხასიათის ინფორმაციის კონფიდენციალობა, რომლის გამჟღავნებამაც ზიანი შეიძლება მიაყენოს ბირჟას, მის წევრებსა და მათ კლიენტებს;

- 2.2.3. დროულად გადაიხადოს ბირჟის მიერ დაწესებული საწევრო, საკომისიო შენატანები და სხვა გადასახდელელები;
- 2.2.4. თავისი ქმედებებით ან/და განცხადებებით არ მიაყენონ ბირჟას ზიანი, არ შელახონ მისი ავტორიტეტი და პრესტიჟი;
- 2.2.5. შესაბამისი მოვლენის დადგომიდან ან გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღის ვადაში შეატყობინოს ბირჟის მმართველ ორგანოს ბირჟის წევრად მიღების განაცხადზე თანდართულ დოკუმენტებში მომხდარი ან მოსალოდნელი ნებისმიერი ცვლილებების შესახებ, აგრეთვე ბირჟის წევრის ფინანსურ და იურიდიულ სტატუსში მომხდარი ან მოსალოდნელი ისეთი ცვლილებების შესახებ, რომლებმაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინონ მათი ვალდებულებების შესრულებაზე ბირჟისა და მისი წევრების მიმართ;
- 2.2.6. ჰქონდეს კანონით გათვალისწინებული სათანადო ლიცენზია;
- 2.2.7. მისცეს ბირჟას წერილობითი თანხმობა თავისი ჩანაწერების და დავთრების შემოწმებაზე, ნებისმიერი მიწოდებული ინფორმაციის სიზუსტის დადგენის მიზნით;
- 2.2.8. დააკმაყოფილოს მარეგულირებელი ორგანოს წესების მიხედვით დაწესებული მოთხოვნები, მათ შორის მისი კაპიტალის ოდენობის შესახებ (მოთხოვნა კაპიტალის ოდენობის შესახებ ეხება მხოლოდ საბროკერო კომპანიებს);
- 2.2.9. იყოს ბირჟის მომსახურე ცენტრალური დეპოზიტარის წევრი.
- 2.3. ბირჟის წევრის ბროკერი ვალდებულია:
- 2.3.1. დადოს ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის გარიგებები ბირჟის ნორმატიული დოკუმენტებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- 2.3.2. აწარმოოს გარიგების გაფორმება წერილობითი ხელშეკრულებების მეშვეობით, რომელშიც აუცილებლად იქნება მითითებული გარიგების ძირითადი პირობები, ურთიერთანგარიშსწორების წესები, აგრეთვე საკომისიო გადასახდელელების ოდენობა;
- 2.3.3. აწარმოოს ბირჟაზე დადებული გარიგებების რეგისტრაცია და აღრიცხვა.

### III. მხარეთა უფლებები

- 3.1. ბირჟა უფლებამოსილია:
- 3.1.1. ბირჟის წევრის ან მისი ბროკერების მიერ მოქმედი კანონმდებლობის და ბირჟის მარეგულირებელი წესების დარღვევისათვის:
- 3.1.1.1. შეაჩეროს განსაზღვრული დროით წევრის ვაჭრობაში მონაწილეობის უფლება;
- 3.1.1.2. მოითხოვოს ბირჟის წევრიგან ბროკერების შეცვლა სხვა პირებით, დადგენილი წესის შესაბამისად;
- 3.1.1.3. შეუწყვიტოს წევრს უფლებამოსილება.
- 3.2. ბირჟის წევრს გააჩნია უფლებები:
- 3.2.1. დადგენილი წესით მიიღოს მონაწილეობა ბირჟის მიერ ორგანიზებულ საფონდო ვაჭრობებში;
- 3.2.2. ისარგებლოს ბირჟის მიერ გაწეული ყველა სახის მომსახურებით;
- 3.2.3. მიმართოს ბირჟის გენერალურ დირექტორს წევრის ან ბირჟის თანამშრომლის მიერ ბირჟის მომწესრიგებელი წესების დარღვევის შესახებ;
- 3.2.4. მიმართოს სამეთვალყურეო საბჭოს აპელაციით დირექტორების იმ გადაწყვეტილებების თაობაზე, რომლებიც წევრის უფლებებს ლახავს;

3.2.5. წევრებთან დაკავშირებული წესების მიღებამდე ან მათში ცვლილების შეტანამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე გაეცნოს მათ, განიხილოს და მიღებამდე ერთი კვირით ადრე წარმოადგინოს მმართველ ორგანოში შენიშვნები, თუ ასეთები წარმოიშევა.

3.3. ბირჟის წევრის ბროკერებს არა აქვთ უფლება:

3.3.1. მიიღონ საბირჟო დავალებები და მითითებები, რომელთა პირობები ეწინააღმდეგება ბირჟის ვაჭრობის წესებსა და საქართველოს კანონმდებლობას;

3.3.2. შეცდომაში შეიყვანონ სხვა წევრები, ბირჟის ადმინისტრაცია თუ თავისი კლიენტები არასწორი ან შეუმოწმებელი ინფორმაციით.

#### **IV. მხარეთა პასუხისმგებლობები**

4.1. “საქართველოს საფონდო ბირჟის წევრების შესახებ” დებულების 7.1-7.2 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში წევრის მიერ საწევრო შენატანებისა და სხვა გადასახდლების გადახდის დაგვიანებისათვის ან არასრულად გადახდისათვის მას ეკისრება საურავის გადახდა გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით, ყოველ გადაცილებულ დღეზე.

4.2. ბირჟის წევრი და მისი ბროკერი (ბროკერები) პასუხისმგებელი არიან განუხრელად შეასრულონ ამ ხელშეკრულების 2.2 და 2.3 პუნქტებით აღებული ვალდებულებები.

4.3. ბირჟის წევრის და მისი ბროკერის (ბროკერების) მიერ ამ ხელშეკრულების, ბირჟის წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში მათ მიმართ გამოიყენება ჩადენილი გადაცდომის შესაბამისი სანქციები.

4.4. ბირჟის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 2.1.1 პუნქტით გათვალისწინებული პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ბირჟა უხდის წევრს საურავს ყოველ დაგვიანებულ დღეზე ბირჟის მომსახურებისათვის საწევრო შენატანის 0,1%-ის ოდენობით, ყოველ გადაცილებულ დღეზე.

4.5. ბირჟა აუნაზღაურებს წევრს ბირჟის არამართლზომიერი ქმედებით მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

#### **V. ინფორმაციის მიწოდების ფორმა**

5.1. მხარეებმა ერთმანეთს ინფორმაცია უნდა მიაწოდონ წერილობითი ფორმით.

5.2. მხარეთა ურთიერთშეთანხმებით შესაძლებელია ინფორმაციის მიწოდების ფორმის შეცვლა.

#### **VI. დავების განხილვის წესი**

6.1. წინამდებარე ხელშეკრულების რეალიზაციის დროს წარმოშობილი უთანხმოებები წყდება მხარეების მიერ მოლაპარაკებების გზით.

6.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეებს შორის დავები განიხილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

#### **VII კონფიდენციალურობის პირობები**

7.1. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთმანეთისათვის წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გადაცემული კონფიდენციალური ინფორმაცია. კონფიდენციალურად ითვლება ინფორმაცია, რომელიც ყველასთვის არ არის ხელმისაწვდომი (ე.ი. არ არის მიღებული მარეგულირებელი ორგანოდან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან, პერიოდული ანგარიშებიდან და

გამოქვეყნებული საინფორმაციო მასალებიდან) და რომლის გამოყენებამ შესაძლებელია ხელშეკრულების რომელიმე მხარეს მიაყენოს მორალური ან მატერიალური ზიანი.

### VIII. ფორს-მაჟორი

8.1. ამ ხელშეკრულებით მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეიძლება შეჩერდეს ფორს-მაჟორული პირობების არსებობისას. ვალდებულებების შესრულების ვადები გადაიწვეს შესაბამისად იმ დროით, რომლის განმავლობაშიც ექნება ადგილი აღნიშნულ გარემოებებს.

### IX. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი პირობების ცვლილების წესი

- 9.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის წევრად მიიღების თარიღიდან და მოქმედებს წევრობის სტატუსის შეწყვეტამდე.
- 9.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება ვადაზე ადრე შეიძლება შეწყდეს ნებისმიერი მხარის მიერ. ხელშეკრულების შეწყვეტის ვადის შესახებ მეორე მხარეს ეცნობება ამ ვადამდე 15 კალენდარული დღით ადრე, წერილობითი სახით. დოკუმენტი უნდა იყოს ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ და დამოწმებული ბეჭდით.
- 9.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ბირჟაზე, მეორე – ბირჟის წევრთან.
- 9.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია, თუ შედგენილია წერილობით, ხელმოწერილი და ბეჭედდასმულია ორივე მხარის მიერ.

### X. მხარეთა რეკვიზიტები

ბირჟა :	_____
0162, ქ. თბილისი	_____
ი.ჭავჭავაძის გამზ. 74 <sup>ა</sup>	_____
 მომსახურე ბანკები:	
_____	_____
_____	_____
_____	_____
_____	_____
 ტელეფონი:	_____
ფაქსი:	_____
 ელ. ფოსტა:	_____
 გენერალური დირექტორი	_____
_____ (ვ.სვანაძე)	_____

**„საქართველოს საფონდო ბირჟის“ წევრთათვის დადგენილი საწევრო შენატანები და სხვა გადასახდელები<sup>1</sup>  
(გაანგარიშება ჩატარებულია დღგ-ს გარეშე)**

დასახელება	A	B	გადახდის პერიოდულობა
<b>შენატანები:</b>			
<u>საწესი შენატანი ბირჟის წევრობისათვის</u>			
- რეზიდენტი კომპანიებისათვის (ლარი)	5000	5000	ერთჯერადი
- არარეზიდენტი კომპანიებისათვის (ევრო)	5000	5000	ერთჯერადი
<u>საწევრო შენატანი ბირჟის წევრობისათვის</u>	40	40	ყოველთვიურად, წინა თვის 25 რიცხვამდე
<b>საბაზისო გადასახდელები:</b>			
<u>საოპერაციო დარბაზში ერთი ტერმინალით სარგებლობისათვის (ლარი)</u>	60		ყოველთვიურად, წინა თვის 25 რიცხვამდე
<u>სავაჭრო სისტემასთან მოშორებული წვდომისათვის ერთი ტერმინალით სარგებლობისათვის<sup>2</sup> (ლარი)</u>		100	ყოველთვიურად, წინა თვის 25 რიცხვამდე
<b>საკომისიო გადასახდელები (%-ში)<sup>3</sup></b>			
<u>გადასახდელები სავაჭრო სესიებზე დადებულ გარიგებებზე<sup>4</sup>:</u>			
სასესხო ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში	0.01	0.01	ყოველ ვაჭრობაზე დადებული გარიგების შემდეგ, არაუგვიანეს გარიგების დადების მომდევნო თვის 10 რიცხვამდე
სხვა ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში	0.05	0.05	
ფასიანი ქაღალდების პირველადი განთავსების შემთხვევაში	0.01	0.01	
<u>გადასახდელები სავაჭრო სისტემაში დაფიქსირებულ გარიგებებზე:</u>			
ნაწილობრივ ან სრულად უზრუნველყოფილი ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში <sup>4</sup>	0.025	0.025	

A - წევრი საოპერაციო დარბაზში; B - წევრი საოპერაციო დარბაზის გარეთ;

1 - გადახდა მოხდება წევრსა და ბირჟას შორის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ;

2 - გადახდა მოხდება წევრისთვის დამატებითი მომსახურების გაწევისას;

3 - საკომისიო გადასახდელი გაიანგარიშება გარიგების დირექტორებიდან იმ ვალუტაში, რომელშიც ფასიანი ქაღალდები დაშვებულია ბირჟაზე სავაჭროდ; სპეციალიზებული საბირჟო აუქციონების შემთხვევაში გაიანგარიშება დანართი №5-ის მიხედვით;

4 - თითოეული მხარისათვის; ამასთან, მინიმალური გადასახდელი ერთ გარიგებაზე შეადგენს არანაკლებ 50 თეთრს;

საკომისიო გადასახდელი სპეციალიზებული  
საბირჟო აუქციონების შემთხვევაში

1. სპეციალიზებული საბირჟო აუქციონების შესიებზე დადებული გარიგებების საკომისიო გადასახდელს იხდის მყიდველი საბროკერო კომპანია. საკომისიო გადასახდელი განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

როდესაც	$P \leq \frac{P_0}{1-k}$	$R_s = \frac{2 \cdot C_s \cdot v}{100} \cdot \left( P - \frac{P - P_0}{k} \right)$
როდესაც	$P > \frac{P_0}{1-k}$	0

$C_s$  – ბირჟის საკომისიო საპროცენტო განაკვეთი;

$k = \frac{2 \cdot (C_s + C_D)}{100}$  – კოეფიციენტი;

$C_D$  – დეპოზიტარის საკომისიო საპროცენტო განაკვეთი;

$P_0$  – ერთი აქციის საწყისი ფასი (მინიმალური გასაყიდი ფასი) (ლარი);

$P$  – გარიგების დროს დაფიქსირებული ერთი აქციის ფასი (ლარი);

$v$  – გარიგების მოცულობა (აქციების რაოდენობა);

$R_s$  – მყიდველი საბროკერო კომპანიის გადასახდელი ბირჟისათვის (ლარი).

